ანგარიშის ნომერი ფონდი

287 1 290

287 1 290

დამუშავდა
16 01 2025

ლიტერატურული საქართველო, 1969, №25
1/III
II
ᲒᲐᲠᲒᲘ, 1969 წ. № 25 (8176)

„ცისკრის“ შარშანდელი ნომრების განხილვა

უნივერსიტეტის სხდომათა დარბაზში, როგორც იტყვიან, ტევა აღარაა. უახლესი ქართული ლიტერატურის კათედრა აწყობს ჟურნალ „ცისკრის“ 1968 წლის ნომრების განხილვას. „ცისკრის“ ბედი რომ სისხლხორცეულია ჩვენი საზოგადოებისათვის, თვალნათლივ ჩანს. განხილვაზე მოსულან პროფესორ-მასწავლებლები, სტუდენტები, მწერლები, ჭალაჭის ახალგაზრდობა.

სიტყვას ამბობს საქართველოს მწერალთა კავშირის მდივანი სერგი ჭილაია. იგი ლაპარაკობს „ცისკრის“ თვალსაჩინო როლზე ახალგაზრდა ნაჭიერი ავტორების გამოვლენაში, ჩვენი ახალგაზრდობის, და არა მარტო ახალგაზრდობის, ესთეტურ აღზრდაში. აღნიშნავს აგრეთვე უფრო მჭიდრო კონტაქტის საჭიროებას „ცისკრის“ სარედაქციო კოლეგიასა და უახლესი ქართული ლიტერატურის კათედრას შორის.

რეზო მიშველაძე აანალიზებს 1968 წლის „ცისკრის“ ნომრებში გამოქვეყნებულ პოეტურ ნაწარმოებებს. იგი ლაპარაკობს იმ სირთულეზე, რომლის წინაშეც აყენებს დიდი ტრადიციების მქონე ქართული პოეზია თანამედროვე პოეტებს. ხაზს უსვამს იმ კანონიერ მოთხოვნებს, რომელთაც უყენებს, შემოქმედს, მეოცე საუკუნის მრავალისმნახველი, მაღალი გემოვნების მკითხველი, რომ მას არ აინტერესებს და არც შეიძლება აინტერესებდეს ცუდად გალექსილი ინფორმაციები. მომხსენებელი გამოჰყოფს მ. ლებანიძის ლექსებს. აღნიშნავს პოეტის ფრაზის სინატიფეს, მოქნილობას, ლექსების შინაგან დაბაბულობას და ექსპრესიულობას. იქვე მიუთითებს ზოგიერთი სტროფის პათეტიკურობაზე, განწყობილების არაბუნებრიერობაზე.

რ. მიშველაძემ დაწვრილებით განიხილა შ. ნიშნიანიძის ლექსები. განსაკუთრებით მოიწონა „მატარებლები და პოეტების“ თემატურ-აზროვნებრივი სიახლე და გამომსახველობით საშუალებათა მრავალფეროვნება. მან შარშანდელი მოსავლის მნიშვნელოვან ნაწილად მიიჩნია ტ. ჭანტურიას და გ. გეგეჭკორის ნაწარმოებები. კარგი შეფასება მისცა აგრეთვე ო. ჭელიძის, ლ. სულაბერიძის, ვ. ჯავახაძის, მ. ფოცხიშვილის, ზ. ლორთქიფანიძის და ახალგაზრდა პოეტების ე. კვიტაიშვილის, ლ. სტურუას, რ. ამაშუკელის, დ. ივარდავას, ტ. მებურიშვილის. ი. ჭემერტელიძის, თ. ბექიშვილის ლექსებს, რ. მიშველაძემ აღნიშნა ახალგაზრდა ავტორთა ერთი ჯგუფის ნაწარმოებების მანერულობა, ერთფეროვნება და მოიყვანა ნაწყვეტები ეპიგონური, გადამღერებული ლექსებიდან.

„ცისკრის“ პროზაზე მოხსენება წაიკითხა თ. მაღლაფერიძემ. იგი ლაპარაკობს „ცისკრის“ ფურცლებზე ახალფეხადგმულ ავტორთა ნაწარმოებების ავ-კარგზე. შემდეგ მან გამოჰყო რ. ინანიშვილი, გ. ფანჯიკიძე, ვ. სიხარულიძე, ვ. ბურდინოვა, ჯ. ქარჩხაძე, ი. რურუა, მ. ქოიავა. აღნიშნა მათი მოთხრობების შემეცნებითი ღირებულება და მხატვრული ღირსებები. ილაპარაკა აგრეთვე ზოგიერთი ავტორის ნაწარმოების დაუხვეწელობაზეც.

ა. თოფურიამ (მოხსენების თემა — „ცისკრის“ კრიტიკა) საინტერესოდ მოუთხრო დამსწრეთ იმ წერილების აქტუალობაზე და საჭიროებაზე, რომლებიც შარშან გამოქვეყნდა ჟურნალში. კარგად დაახასიათა ნ. ჩხეიძის, ა. ა. გეწაძის, რ. მიშველაძის რეცენზიები.

ივანე იმნაიშვილს მართლაც მეცნიერული სიდინჯით და კეთილსინდისიერებით უმუშავნია. რომ „ცისკრის“ ენის ნათელი სურათი წარმოედგინა. მისი შენიშვნების უმრავლესობა უთუოდ ყურადსაღები იყო და მისი გათვალისწინება ხელს შეუწყობს ქართული ენის გაწმენდას, გაჯანსაღებას.

არა ერთი საგულისხმო მოსაზრება გამოთქვეს სიტყვაში გამოსულმა ორატორებმა ვ. ცისკარიძემ, ლ. სტურუამ, რ. ბურჯანაძემ, ზ. გამსახურდიამ და სხვებმა.

დასასრულ სიტყვით გამოდის ჟურნალ „ცისკრის“ მთავარი რედაქტორი ჯანსულ ჩარკვიანი. იგი გულითად მადლობას უხდის განხილვის მონაწილეებს იმ პასუხისმგებლობისათვის, რითაც გამოირჩეოდა თითოეული მათგანის გამოსვლა, იმ კეთილი სურვილებისათვის, რომელიც ეტყობოდა მათი მოხსენებების ტონს და, რა თქმა უნდა, იმ შენიშვნებისათვის, რომლის ნაწილის გათვალისწინება წინ წასწევს „ცისკარს“.

მაგდა ლაფაჩიშვილი.

ჩინებული შედეგები

საქართველომ მეორე ადგილი დაიკავა ჩვენს ქვეყანაში 1969 წელს პერიოდულ გამოცემებზე ხელმოწერის მხრივ. გავრცელებულია 5.550 ათასი გაზეთი და ჟურნალი, ყოველ ათას მცხოვრებზე 1.205 ეგზემპლარი.

განსაკუთრებით კარგ შედეგებს მიაღწიეს ხელმოწერაში გორელებმა. ყოველ ათას მცხოვრებზე აქ გავრცელებულია 2.058 გაზეთი და ჟურნალი. ჩინებულად იმუშავეს წითელწყაროს რაიონის, მახარაძის, ბორჯომის, ტყიბულისა და მცხეთის პერიოდული პრესის გამავრცელებლებმა.

ეს აცნობეს საქდესის კორესპონდენტს პრესის გავრცელების რესპუბლიკურ სამმართველოში. (საქდესი).

დიაბეტს კურნავს წყალტუბო

უკანასკნელ ხანებში მეცნიერებმა მნიშვნელოვნად გაადიდეს წყალტუბოს წყლების სამკურნალო თვისებების ჰორიზონტი. საქართველოს კურორტოლოგიის და ფიზიოთერაპიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის წყალტუბოს ფილიალის კოლექტივმა დაამტკიცა, რომ ეს წყალი კარგად მოქმედებს დიაბეტით დაავადებულებზე. ამასთან დაკავშირებით ფილიალის დირექტორმა, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატმა თენგიზ კარტოზიამ საქდესის კორესპონდენტთან საუბარში განაცხადა: დაკვირვება დაიწყო გასული წლის მაისიდან. წინასწარი მონაცემები ლაპარაკობს იმის სასარგებლოდ, რომ წყალტუბოში ბალნეომკურნალობის შედეგად მნიშვნელოვნად კლებულობს შაქრის რაოდენობა. დაკვირვება ჩატარდა 60-მდე დიაბეტით დაავადებულ ავადმყოფზე. ყველა მათგანის სისხლში წყალტუბოს აბაზანების საჭირო რაოდენობით მიღების შემდეგ შაქარი შემცირდა 40-50 და მეტი მილიგრამპროცენტით.

ფილიალის კოლექტივს გათვალისწინებული აქვს 5 წლის მანძილზე შეისწავლოს ფრიად მნიშვნელოვანი საკითხი — დიაბეტი და ბალნეომკურნალობა.

დიდტირაჟიანი გაზეთების კონკურსი

სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირის გამგეობა და ჟურნალ „რაბოჩეკრესტიანსკი კორესპონდენტის“ რედაქცია აწყობს სრულიად საკავშირო კონკურსს დიდტირაჟიანი გაზეთების საუკეთესო გაფორმებისა და პოლიგრაფიული შესრულებისათვის.

ეს შეჯიბრება ეწყობა ორ ტურად. თავდაპირველად საუკეთესო გაზეთებს, რომლებიც შეესაბამება კონკურსის პირობებს, შეარჩევენ ჟურნალისტთა კავშირის ადგილობრივი ორგანიზაციები. შემდეგ მათ წარადგენენ ცენტრალურ ჟიურში, რომელიც განსაზღვრავს გამარჯვებულებს.

გაზეთების კოლექტივებისათვის დადგენილია პრემიები: ხამი პირველი პრემია — თითოეული 300 მანეთის ოდენობით და პირველი ხარისხის დიპლომი, ხუთი მეორე პრემია — თითოეული 200 მანეთის ოდენობით და მეორე ხარისხის დიპლომი, ათი მესამე პრემია — თითოეული ასი მანეთის ოდენობით და მესამე ხარისხის დიპლომი. დაწესებულია აგრეთვე წამახალისებელი დიპლომები.

ჟიურიმ გადაწყვიტა საკონკურსო მასალების მიღების ვადა 31 მარტამდე გაგრძელოს. კონკურსის შედეგები ცნობილი გახდება 5 მაისს — ბეჭდვითი სიტყვის დღეს.

(საქდესის კორ.).

სპეციალისტთა მომზადების ხარისხის ამაღლების, მოსწავლეთა შორის აქტუალურ საკითხებზე თეორიული კონფერენციების ჩატარების, დისპუ-